პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 218 (3195)

1966 წ. 10 ნოემბერი, ხუთშაბათი

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

**საბჭოთა ხალხმა ზეიმით აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 49-ე წლისთავი.**



სურათზე: მოსკოვის წითელ მოედანზე ფიზკულტურელთა გამოსვლა.

ფოტო ნ. გრანოვსკისა (საქდესი).

## ასპარეზობენ კოლმეურნენი

სოხუმი (ჩვენი კორ.). აქ რამდენიმე დღე მიმდინარეობდა სოფლის სპორტსმენთა IV რაიონული სპარტაკიადა, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს.

შეჯიბრების პროგრამაში იყო ქართული ჭიდაობა, ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი და ჭადრაკი.

ქართულ ჭიდაობაში გუნდური პირველობა მოიპოვეს კელასურის წარმომადგენლებმა. ფეხბურთელთა ტურნირში ტოლი არ ჰყავდათ ბესლეთელებს. მათვე დარჩათ პირველობა კალათბურთელ ვაჟთა ასპარეზობაში.

კალათბურთელ გოგონათა შეჯიბრებაში ყველას აჯობეს ეშერელებმა. ასევე საუკეთესონი იყვნენ მათი ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდები.

მოჭადრაკეთა შორის ბესლეთელებმა ისახელეს თავი.

შ. ჯალაღონია.

## ჩვენს მოძმე რესპუბლიკებში

**სავშირო ქვეყნიდან** [illegible]

### ✦ ახალგაზრდობის მარჯვენით

კიროვაბადში დაიწყო მშენებლობა სპორტული კომპლექსისა, რომელიც უდიდესი იქნება დასავლეთ აზერბაიჯანში. ახალი ბაზის გეგმა ითვალისწინებს 10-ათასადგილიან სტადიონს, საცურაო აუზს, ზამთრის სპორტულ დარბაზსა და ჩოგბურთის კორტს.

კომპლექსს სამუშაოსგან თავისუფალ დროს აშენებს კიროვაბადის ალუმინის ქარხნის ახალგაზრდობა. ამ საწარმოს ყოველ საამქროში შექმნილია მშენებელთა და მემონტაჟეთა კომკავშირული ბრიგადები, რომლებიც მორიგეობით შრომობენ მშენებლობაზე. ახალგაზრდებს გამოცდილებაც აქვთ: თითქმის ყოველ მათგანს მიუძღვის წვლილი თავისი ქარხნის ობიექტების აშენებაში.

განზრახულია ახალი ბაზა ხალხის სამსახურში ჩადგეს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის.

კიროვაბადელ კომკავშირელთა თაოსნობა აიტაცა ევლახის, დაშქესანის, თაუზის, შამხორისა და სხვა ქალაქების ახალგაზრდობამ.

კიროვაბადი.

### ✦ სპორტული ახალსახლობა

ლუგანსკი. ამ დღეებში აქ გაიხსნა ქალაქში უდიდესი სპორტული კორპუსი, რომელიც „დინამოს" ააგო. მთავარი დარბაზი, რომლის ფართობიც 1000 კვ მეტრია, ტრიბუნები კი 1.500 მაყურებელს იტევს, დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული თამაშისა და ტანმოვარჯიშეებისთვის. მეორე, უფრო მცირე დარბაზი, მოკრივეებს დაეთმობათ. საკუთარი კლუბი ექნებათ ლუგანსკელ მოჭადრაკეებსა და მოშაშეებს. კორპუსს აქვს კეთილმოწყობილი დასასვენებელი ოთახები, სააბაზანოები, გასახდელები.

ამ კორპუსის აგებით დამთავრდა „დინამოს" სპორტული კომპლექსის მშენებლობა, რომელშიც შედის, აგრეთვე, საცურაო აუზი, ჭიდაობის, ძალოსნობის, ჩოგბურთის დარბაზები, სასტუმრო და სხვ.

სკკპ ლუგანსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. შევჩენკომ გადაჭრა ლენტი და ახალი ნაგებობა მწყობრში ჩადგა. იქვე ჩატარდა მიტინგი, რომლის მონაწილეებმაც მისალმების წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას.

ფიზკულტურელთა ზეიმზე ჩამოვიდნენ საპატიო სტუმრები. ადგილობრივ სპორტსმენებთან ერთად ისინიც გამოვიდნენ სარბიელზე. ლუგანსკელ მაყურებლებს თავიანთი ოსტატობა უჩვენეს მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა მ. ვორონინმა და სხვა ტანმოვარჯიშეებმა, სახელგანთქმულმა მოფარიკავეებმა ვ. რასტვოროვამ და გ. გოროხოვამ, ცნობილმა მოკრივეებმა ს. სტეპაშკინმა და ო. გრიგორიევმა.

დასასრულს ერთმანეთს შეეჯიბრნენ ცსკა-სა და ადგილობრივი „ავანგარდის" ფრენბურთელები. გამარჯვება არმიელებს ხვდათ.



არხანგელსკის ოლქში ზამთარი დადგა. ამ დღეებში პირველ თოვლს შეხვდნენ ამდერმის დასახლებაში, რომელიც 67-ე პარალელის ჩრდილოეთით მდებარეობს. სიცივე უკვე 20 გრადუსს ქვემოთ დაეშვა. ნენეცი ბავშვები სიხარულით ცას ეწიეს: ასეთ ამინდში თხილამურებით სრიალს რა ჯობს!

სურათზე: ამდერმის საშუალო სკოლის მოსწავლეები თხილამურებზე შემდგარან. მარცხნივ — ფიზაღზრდის მასწავლებელი ა. შიკუნოვა.

ფოტო ა. ოვჩინიკოვისა (საქდესი).

## გუშინ...

### საქართველოს ახალი რეკორდი

თბილისის „დინამოს" სტადიონზე დაიწყო ლატვიისა და საქართველოს მძლეოსანთა ამხანაგური მატჩი. ნაწვიმარი, რბილი ბილიკების მიუხედავად, მასპინძელმა ქალებმა 4×100 მეტრზე ესტაფეტაში რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარეს: ვ. ქუთათელაძემ, ლ. იევლევამ, თ. რომანოვამ და გ. კონონენკომ აჩვენეს 47,9 წამი, რაც ძველ რეკორდზე 0,3 წამით უკეთესია. პირველი დღის შემდეგ მატჩის ანგარიშია 106:91 მასპინძელთა სასარგებლოდ.

## ლიდერობენ საბჭოთა მოჭადრაკეები

ჰავანა, 9 ნოემბერი. მოჭადრაკეთა XVII მსოფლიო ოლიმპიადის მთავარი ფინალური ტურნირის III ტურში ჩვენი მოჭადრაკეები მასპინძლებს — კუბელებს შეხვდნენ. „გამოცდა" საკმაოდ მკაცრი გამოდგა: პეტროსიანმა მოუგო ხიმენესს, ტალმა — კობოს, შტეინმა — როდრიგესს. კორჩნოიმ ყაიმით დაამთავრა თამაში სანტაკრუსთან. ამრიგად, ანგარიშით 3,5:0,5 გაიმარჯვეს საბჭოთა დიდოსტატებმა.

იუგოსლავიელებმა „მშრალზე დასვეს" ნორვეგიელები — 4:0. ამერიკელებმა ასეთივე ანგარიშით მოუგეს ესპანელებს. ჩეხოსლოვაკიელმა მოჭადრაკეებმა დაამარცხეს ისლანდიელები — 3:1. რუმინელები უგებენ დანიელებს — 2,5:0,5 (ერთი პარტია კვლავ გადადებულია). ყაიმით (2:2) დამთავრდა ბულგარეთ — გდრ-ის და არგენტინა — უნგრეთის მატჩები.

IV ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები დანიელებს შეხვდნენ. შტეინმა მოუგო ანდერსენს, პოლუგაევსკიმ — ენევოლდსენს, პეტროსიანმა — ლარსენს, ტალმა — ბრინკკლაუსენს.

ამერიკელებმა დაამარცხეს ისლანდიელები — 3,5:0,5. ესპანელებმა ასეთივე ანგარიშით მოუგეს კუბელებს. არგენტინა — ნორვეგიის მატჩის ანგარიშია 3:1. რუმინეთ — იუგოსლავიის მატჩში I დაფაზე გეორგიუმ სძლია გლიგორიჩს. შესვენებამდე დაწინაურდნენ იუგოსლავიელები — 2:1 (1 პარტია გადადებულია). ასეთივე ანგარიშია უნგრეთ — ბულგარეთის მატჩში. ჩეხოსლოვაკია — გდრ-ის მოჭადრაკეთა შეხვედრა ყაიმით (2:2) დამთავრდა.

V ტურში საბჭოთა მოჭადრაკეები რუმინელებს შეხვდნენ და დაამარცხეს ისინი — 3:1. კორჩნოიმ მოუგო დრიმერს, ხოლო პოლუგაევსკიმ — სტანევს. სპასკი — გეორგიუსა და ტალ — ჩოკილტიას პარტიები — ყაიმით დასრულდა. ბულგარელებმა სძლიეს ნორვეგიელებს — 3,5:0,5, ხოლო ჩეხოსლოვაკიელებმა — უნგრელებს — 2,5:1,5.

5 ტურის შემდეგ მთავარ ფინალურ ტურნირში დამაჯერებლად ლიდერობენ საბჭოთა მოჭადრაკეები — 17 ქულა 20 შესაძლებლიდან.

**მე-3 გვ.**

**ფეხბურთის ამბები**

**კიეველთა „დუბლი"**

**„სპარტაკი" — „რაპიდი" 1:1**

**ქუთაისელთა საერთაშორისო...**

## უკანასკნელი საათი...

◆ მელბურნი, 9 ნოემბერი. თანამედროვე ხუთჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატში ბრწყინვალედ ასპარეზობენ უნგრელები, რომლებმაც 3 სახეობის შემდეგ პრაქტიკულად უკვე გაინაღდეს ოქროს მედლები. მათ მოაგროვეს 9220 ქულა და თითქმის 1000 ქულით ჩამოიტოვეს II ადგილზე მყოფი საბჭოთა სპორტსმენები (სსრ კავშირის ნაკრებს 8300 ქულა აქვს). პირად ჩათვლაშიც უნგრელებმა გამოიჩინეს თავი. ლიდერობს ოლიმპიური ჩემპიონი ფ. ტიორიოკი — 3115 ქულა. II ადგილზეა მსოფლიო ჩემპიონი ა. ბალცო — 3079. III ადგილზე მიდის საბჭოთა ხუთჭიდელი ვ. მინეევი — 2993. სროლაში ყველას აჯობა უნგრელმა ი. მონამ — 1022 ქულა. მინეევმა და ავსტრალიელმა პეიჯმა ათას-ათასი ქულა მოაგროვეს. სამაგიეროდ, დანარჩენმა ორმა საბჭოთა ათლეტმა ძალიან ცუდად ისროლა: ს. შაპარნისმა მოაგროვა 758 ქულა, პ. ლედნევმა — 670. ტიორიოკმა აჩვენა 978 ქულა, ხოლო ბალცომ — 868.

◆ მოსკოვი, 9 ნოემბერი. აქ გაიმართა მოსკოვისა და იაპონიის სამბისტთა ნაკრები გუნდების ამხანაგური შეხვედრა. დაძაბულ ბრძოლაში მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:2. აღსანიშნავია, რომ იაპონელებმა ჩვენს ქვეყანაში სულ 4 შეხვედრა გამართეს და ოთხივე წააგეს საერთო ანგარიშით 6:14.

## მეგობართა შეხვედრები

საოქტომბრო დღესასწაულზე თბილისს ესტუმრა რიგის უნივერსიტეტის ხელბურთელ ქალთა გუნდი. ლატვიელმა სპორტსმენებმა ჩვენს დედაქალაქში 3 მატჩი ჩაატარეს. 6 ნოემბერს გაიმართა პირველი შეხვედრა. თბილისის „განთიადის" კოლექტივთან თამაში თავიდანვე დაძაბულად წარიმართა და დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით — 13:11 (8:6). განმეორებით მატჩში განთიადელებმა მეორე შემადგენლობა გამოიყვანეს და ამჯერად წააგეს — 14:16 (7:7).

რიგელებს „ვერაფერი მასპინძლობა" გაუწიეს თბილისის უნივერსიტეტის ხელბურთელებმა. ისინი 8 ნოემბერს შეხვდნენ სტუმრებს და მატჩი მოიგეს 2 ბურთის სხვაობით — 11:9 (2:6).

აღსანიშნავია, რომ რიგის უნივერსიტეტის ხელბურთელ ქალთა კოლექტივი ლატვიის წლევანდელი ჩემპიონია.

ზ. ირინაული.

# პირველობამ...

ნლევანდელი სეზონი — ოქტომბრის 50 წლისთავის კარიბჭე განსაკუთრებით ღირსსახსოვარია. სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა საბჭოები, ფიზკულტურული კოლექტივები ამიტომაც ცდილობენ წლეულსაც გადაჭარბებით გაანაღდონ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმები და ვალდებულებები.

„განთიადის" ცენტრალურმა საბჭომ დროულად იზრუნა, რათა საოქტომბრო ზეიმს მაღალი მაჩვენებლებით შეხვედროდა. ახლა, როცა უკან დარჩა ნაყოფიერი შრომის 10 თვე, როცა ჩვენმა ქვეყანამ ოქტომბრის რევოლუციის 49-ე წლისთავი იზეიმა, შევაჯამეთ განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობა: შიდასაკოლექტივო შეჯიბრებების გამართვით, რაიონულ, საოლქო და რესპუბლიკურ ასპარეზობებში სისტემატური მონაწილეობით, ცენტრალური საბჭოს ნაკრები გუნდების ნაყოფიერი გამოსვლებით საკავშირო სარბიელზე, რესპუბლიკაში პირველობამ, ვადამდე და გადაჭარბებით გავანაღდეთ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების წლევანდელი გეგმა. ჩვენმა კოლექტივებმა მოამზადეს 28 სპორტის ოსტატი, 32 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 210 პირველთანრიგოსანი და სხვა თანრიგების ათასობით სპორტსმენი. ზეგეგმით მოვამზადეთ, აგრეთვე, საზოგადოებრივი ფიზკულტურული მუშაკები, რომელთა უმეტესობა უკვე ჩავაბით პრაქტიკულ საქმიანობაში.

ამ წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის საწარმოთა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა, რომელთაგან ცალკე უნდა დავასახელოთ თბილისის სპორტკლუბი „განთიადი", რუსთავის მეტალურგიული, ქუთაისის საავტომობილო და ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნების კოლექტივები. მათ განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი საქართველოს საიუბილეო სპარტაკიადისთვის სამზადისში.

მტკიცე საფუძველი შევქმენით სამერმისოდაც. თბილისში, ჩვენი აუზის ბაზაზე გავხსენით ცურვის სპორტსკოლა, რომელშიც 250 ბავშვი იმეცადინებს, სპორტკლუბ „განთიადთან" მომუშავე ტანვარჯიშულმა სპორტსკოლამ მიიღო აღმზრდელთა ახალი კადრები.

ფართოვდება ბაზების ქსელიც: ქუთაისში აიგება დიდი საცურაო აუზი, თბილისის [illegible], სოხუმში — წყალში სახტომი კოშკი და სხვ.

„განთიადის" ცენტრალური საბჭო კვლავაც იბრძოლებს მაღალი თანრიგების სპორტსმენთა აღზრდისთვის, რათა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადისთვის რაც შეიძლება მეტი და საუკეთესო შევსება მივცეთ რესპუბლიკის ნაკრებს.

**ი. ბოჭორიძე,**
„განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე.



საიუბილეო სპარტაკიადებს — ღირსეული შეხვედრა!

# ქალთა გუნდს — მეტი ზრუნვა!

ვარაუდი გამართლდა: ნიჭმა თავისი გაიტანა. დინამოელმა ლ. გუგეშაშვილმა მეორე დღესაც გამოიჩინა თავი და ათჭიდში 6892 ქულა მოაგროვა. მისი სახით საბჭოთა კავშირის „სპორტის დედოფლის" ამალას ერთი ოსტატიც შეემატა. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრებაში ჩვენს რესპუბლიკას კიდევ ორი მაღალთანრიგოსანი ათლეტი შესძინა: III პრიზიორმა ო. ყიფიანმა („სპარტაკი") ათჭიდში პირველად შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის, ხოლო გ. არახამიამ („ბურევესტნიკი") — პირველი თანრიგის ნორმა.

თუ თვალს გადავავლებთ ჩემპიონატის ტექნიკურ შედეგებს პირად ჩათვლაში, პროგრამით გათვალისწინებული 36 სახეობიდან თორმეტში დინამოელებმა მოიპოვეს ჩემპიონობა. დანარჩენი 24 პირველი ადგილი კი არმიელთა სპორტკლუბის (3), „ბურევესტნიკის" (8), „სპარტაკის" (4), „ლოკომოტივისა" (8) და „განთიადის" (1) ათლეტებმა გაინაწილეს. უპირატესობა თითქოს გუნდურ ჩათვლაშიც დინამოელთა მხარეს უნდა ყოფილიყო. მართლაც, ამ საზოგადოების მძლეოსნები ჩემპიონატის ბოლო დღემდე მტკიცედ ლიდერობდნენ ტურნირს (მათ ფეხდაფეხ მიჰყვებოდა სტუდენტთა კოლექტივი)...

მაგრამ ფინიშის სწორზე „დინამოს" ძალა აღარ ეყო ხუთჭიდში — და ბოლო ესტაფეტაში ჩათვლა ვერ მიიღო, რის გამო II ადგილზე გადაინაცვლა.

კარგია, რომ გუნდურ ჩათვლაში „კოლმეურნეც" მონაწილეობდა. ამასვე ვერ ვიტყვით არმიელებზე, რომლებიც მხოლოდ პირად პირველობაში ცდიდნენ ძალას.

თუ რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები კვლავაც ასე მასობრივად, ოღონდ უფრო სრულად, რაციონალურად დაკომპლექტებული კოლექტივებით ჩაებმებიან ტურნირებში, შედეგებიც ამაღლდება და მძლეოსნობის საქმეც წინ წავა.

მიმზიდველი იყო 1500 მეტრზე მორბენალ ვაჟთა ასპარეზობა. ორივე გარბენს ინტერესი იმანაც შემატა, რომ სტარტზე სტუმრებიც გამოვიდნენ. პირველ გარბენს დიდხანს ლიდერობდა საქართველოს რეკორდსმენი ა. კორნეიჩუკი („ლოკომოტივი"), მაგრამ, როგორც ჩანს, მან ამ პოზიციის შენარჩუნებას შეალია მთელი ენერგია, ფინიშისთვის კი ძალა აღარ ეყო: მას გაასწრეს ი. იაკუბოვმა (ლატვია) — 3.49,4 და ვ. ხრომოვმა (უზბეკეთი) — 3.50,2. ამ სამეულის გარდა, ოსტატობის კანდიდატის ნორმა აჩვენეს ი. ლოგუნოვმა („ბურევესტნიკი") და მ. გაულისმაც (ლატვია). მეორე გარბენში გამარჯვებისთვის ბრძოლა ი. ცანავასა („კოლმეურნე") და ი. ზეინან-ოღლის („ლოკომოტივი") შორის გაჩაღდა. კარგი ფინიშის წყალობით გაიმარჯვა რკინიგზელთა წარმომადგენელმა.

შეჯიბრება დასასრულს უახლოვდებოდა. რეკორდი კი არა და არ ჩანდა. და აი, ვაჟთა ესტაფეტამ (4×400 მ) ეს „ნაკლიც" გამოასწორა — „ლოკომოტივის" კვარტეტმა (რ. სერებრიანი, ი. ზეინან-ოღლი, ა. ანდრეევი, ტ. ბახტაძე) იოლად მოუგო მეტოქეს — 3.20,5. ეს ამ საზოგადოების საკავშირო საბჭოს ახალი რეკორდია. როგორც ვიუწყებოდით, ძველი რეკორდიც (3.21,2) თბილისის „ლოკომოტივის" გუნდს ეკუთვნოდა.

და, ბოლოს, ხუთჭიდის შესახებ. ამ სახეობაში კარგად იასპარეზეს თ. როჟმანოვამ (ასკ, პირადი) და ნ. გაბეხაძემ („ბურევესტნიკი"), რომელთაც I თანრიგს გადააჭარბეს. უნდა ითქვას, არ ჩანან ნიჭიერი ახალგაზრდები, რომლებიც ვეტერანებს უნდა ამოუდგნენ მხარში და, თუ საჭირო იქნა, შეცვალონ კიდეც. ვერც 3000 მეტრზე წინაღობებით რბენის საქმე გვაქვს კარგად. მაგალითად, ამ სახეობაში მხოლოდ ლ. ვასილენკო („ბურევესტნიკი") გამოვიდა.

წინა წერილში ვწერდით და ახლაც უნდა გავიმეოროთ, რომ თუ ვაჟთა გუნდი ასე თუ ისე სათანადო დონეზე დგას, სსრ კავშირის ხალხთა IV სპარტაკიადისთვის ქალთა კოლექტივის სამზადისში ბევრი რამ ჯერ კიდევ საგანგაშოა. ავიღოთ, თუნდაც, ესტაფეტები 4×100 და 4×200 მ. აქ ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო I თანრიგის ჩვენება. სხვა სახეობებში კი შეიძლება დავასახელოთ დიდი-დიდი ორი ათლეტი, რომ სპარტაკიადაში ჩათვლის მიღება შეეძლოს. ცხადია, ჩვენმა მწვრთნელებმა ყურადღება ძირითადად ქალთა კოლექტივზე უნდა გაამახვილონ.

**ო. გელაშვილი.**

• • •

**ტექნიკური შედეგები:** ქალები. ესტაფეტა 4×200 მ — „ბურევესტნიკი" (ლ. ლობზევა, გ. კონონენკო, ვ. ლომიძე, ნ. გაბეხაძე) — 1.47,4, „დინამო" — 1.49,1, „განთიადი" —1.56,0; ხუთჭიდი—თ. როჟმანოვა — 4053 ქულა (11,3; 8,72; 151; 530; 26,9), ნ. გაბეხაძე — 3820, ვ. თეთრაძე („განთ.") — 3757. **ვაჟები:** 1500 მ რბენა — ა. კორნეიჩუკი — 3.50,9, ი. ლოგუნოვი — 3.53,4, ი. ზეინან-ოღლი — 4.00,5; 400 მ თარჯრბენი — ი. კოზელსკი („დინ.") — 53,8; ა. ანდრეევი — 56,7; ო. კობჩიკი („განთ.") — 57,6; ესტაფეტა 4×400 მ — „ლოკომოტივი" — 3.20,5, „ბურევესტნიკი" — 3.24,5, „სპარტაკი" — 3.33,4; ათჭიდი — ლ. გუგეშაშვილი — 6892 ქულა (11,1; 635; 11,80; 186; 51,7; 15,8; 38,30; 4 მ; 51,56; 4.47,7); ი. ჩირიკაშვილი („ბურ.") — 6472, ო. ყიფიანი — 6416.

**გუნდური შედეგები:** 1. „ბურევესტნიკი" — 49.965 ქულა, 2. „დინამო" — 45.233, 3. „ლოკომოტივი" — 39.387, 4. „სპარტაკი" — 39.293, 5. „განთიადი" — 27.159, 6. „კოლმეურნე" — 6.660.

• • •





**სურათებზე:** ზევით — **20** კილომეტრზე სპორტულ სიარულში საქართველოს ჩემპიონი ი. დელა-როსა ასპარეზობისას; შუაში — **80** მეტრზე თარჯრბენში შეჯიბრების მომენტი; ქვევით — **100** მეტრზე ვაჟთა ასპარეზობის ფინიშთან.

ფოტო ავტორისა.

# დედაქალაქის მასწავლებელთა...

—საქართველოს რეკორდსმენმა სიმაღლეზე ხტომაში ს. როზანოვამ გადალახა 145 სანტიმეტრი, —გამოაცხადა ჟიურიმ თბილისის მასწავლებელთა სპარტაკიადაზე. როზანოვამ (კიროვის რაიონი) სწორედ ამ შედეგით გაიმარჯვა. მისმა თანაგუნდელმა ა. ზულმა მოიგო ქალთა რბენა 100 მეტრზე (13,7), ამავე რაიონის წარმომადგენელმა გ. ძაგანიამ კი ყველას აჯობა სიმაღლეზე (180 სმ) და სიგრძეზე (667 სმ) ხტომაში. გუნდურ ჩათვლაში პირველობაც კიროველმა მძლეოსნებმა იზეიმეს.

ამ რაიონის სპორტსმენებმა სხვა სახეობებშიც ისახელეს თავი. მაგალითად, მოშაშეთა გუნდმა ყველა მეტოქეს „მშრალი" ანგარიშით (5:0) მოუგო. ასევე დაუმარცხებლად ჩაატარეს ტურნირი მაგიდის ჩოგბურთელებმა და ჩემპიონობა დაისაკუთრეს.

სამაგიეროდ, ჭადრაკში უძლიერესის სახელი არავის დაუთმეს 26 კომისრის რაიონის წარმომადგენლებმა.

სროლაში ყველას აჯობეს ორჯონიკიძის რაიონის სპორტსმენებმა, რომლებმაც 500 შესაძლებლიდან 457 ქულა დააგროვეს.

დაძაბულად წარიმართა 1-ლი მაისისა და კიროვის რაიონების კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ფინალური შეხვედრა. გაიმარჯვეს პირველმაისელებმა — 44:42.

ფრენბურთელ ვაჟებში პირველობა ოქტომბრის რაიონის გუნდს ხვდა, ქალებში კი — 26 კომისრის რაიონის კოლექტივს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი 3 ადგილი ასე განაწილდა: 1. კიროვის რაიონი, 2. 1-ლი მაისის რაიონი, 3. ოქტომბრის რაიონი.

**ვ. ბუკინი.**

# უმოქმედობისა და ფორმალობის წინააღმდეგ

ამას წინათ ბათუმში გაიმართა აჭარის პროფსაბჭოს V პლენუმი, რომელმაც მოისმინა მ. ეკიზაშვილის მოხსენება: „სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება — ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი აღმავლობის შესახებ — და აჭარის პროფკავშირულ-ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანები".

აჭარის პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ილაპარაკა ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივი განვითარების საქმეში ბოლო 2 წლის მანძილზე მოპოვებულ წარმატებებსა და ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე. მან აღნიშნა, რომ კარგი მუშაობით გამოირჩევიან ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი და გემსაშენი ქარხნების, ხამკერვალო ფაბრიკისა და სხვა ფიზკულტურული კოლექტივები.... მაგრამ განსაკუთრებით ვრცლად მომხსენებელი ნაკლოვანებებზე შეჩერდა, თქვა, რომ ხშირად მთავარი ყურადღება მაღალთანრიგოსან სპორტსმენებთან და რეკორდსმენებთან მუშაობას ეთმობა, ფიზკულტურის მასობრივად განვითარებაზე კი არავინ ზრუნავს და რომ ბევრ ორგანიზაციაში ფიზკულტურული საბჭოები ფორმალურად არსებობს, მომხსენებლის აზრით, სწორედ ეს იწვევს მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის დაბალ დონეს, მაგალითად, ბათუმის ხილეულის წყლებისა და ლუდის ქარხნის, პურკომბინატის, მუსიკალური სასწავლებლის, კავშირგაბმულობის საოლქო კვანძის, ბათუმის რკინიგზის სადგურისა და სალოკომოტივო დეპოს, აჭარის ბევრი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივებში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს „განთიადის" აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ შ. მამინაშვილმა, რუსთაველის სახელობის პედინსტიტუტის რექტორმა კ. დოლიძემ, ელექტრომექანიკური ქარხნის დირექტორმა ი. უნგიაძემ, მშენებლობის ტრესტის პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ბექაიამ, „სპარტაკის" საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ს. ლოგინოვმა, სპორტკავშირის აჭარის საბჭოს თავმჯდომარემ შ. მჟავანაძემ, აჭარის განათლების სამინისტროს ფიზკულტურის ინსპექციის უფროსმა შ. პატარაიამ და სხვ.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა აჭარის კპ საოლქო კომიტეტის მდივანი დ. დიასამიძე.

პლენუმმა მიიღო შესაბამისი დადგენილება.

**ო. მურვანიძე.**
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი ფეხბურთი

# თასი ღირსეულს

8 ნოემბერს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შედგა სსრ კავშირის თასის ფინალური მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის წლევანდელი ჩემპიონი — კიევის „დინამო“ და მოსკოვის ტორპედო“.

მიმდინარეობდა მატჩის პირველი წუთი, როცა ჩემპიონმა პირველი განაცხადი გააკეთა გამარჯვებისათვის: ა. ბიშევეცმა ცენტრში მიიღო გადაცემა, რამდენიმე მოწინააღმდეგე მცველის თანხლებით შეიჭრა საჯარიმო მოედანზე და დაბალი ბურთი გაგზავნა კარის შორეულ კუთხეში — 1:0.

ტორპედოელები ამაოდ ეცადნენ გამოესწორებინათ მდგომარეობა. კიეველები ბრწყინვალედ თამაშობდნენ და მოწინააღმდეგეს არ აძლევდნენ ინიციატივის ხელში აღების საშუალებას. შესვენების შემდეგ დინამოელთა კაპიტანმა ა. ბიბამ მეორე ბურთი გაიტანა მოსკოველთა კარში და დამსახურებული გამარჯვება წილად ხვდა კიევის „დინამოს“ — 2:0.

ამრიგად, უკრაინელმა ფეხბურთელებმა 1966 წელს გააკეთეს „დუბლი“ — მოიგეს სსრ კავშირის ჩემპიონობაც და თასიც. ადრე ასეთი წარმატება ჰქონდათ მოსკოვის გუნდებს — „დინამოს“, „სპარტაკს“ და ცდკა-ს.

მატჩის დამთავრების შემდეგ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ნ. რიაშენცევმა გამარჯვებულებს გადასცა ბროლის თასი, დიპლომები და სამახსოვრო ჟეტონები.

მაყურებელთა ტაშის გრიალში კიევის დინამოელებმა საპატიო წრე შეკრეს სტადიონზე.

კიევის „დინამო“ ფინალურ მატჩში გამოდიოდა ასეთი შემადგენლობით: რუდაკოვი (ბანიკოვი), შჩეგოლკოვი, სოსნიხინი, ტურიანჩიკი, ოსტროვსკი, საბო, ბიბა, მედვიდი, ბიშევეცი, სერებრიანიკოვი, ხმელნიცკი (კრულიკოვსკი).

მატჩს სჯიდა ბრიგადა ასეთი შემადგენლობით: ე. ჰიარმსი (ტალინი), კ. ყრუაშვილი (თბილისი), ვ. ხოდინი (მინსკი).

სსრ კავშირის პირველობა

# მეგობრული ჟესტი და... დაკარგული პენალტი

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 8 ნოემბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „შახტიორი“ (დონეცკი) 1:0 (0:0).

„დინამო“: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჰელიძე, შერგელაშვილი, პეტრიაშვილი, ხართიშვილი, ილიადი, დათუნაშვილი, მეტრეველი, იამანიძე, მესხი.

„შახტიორი“: კოროტკიხი, ხოროკინი, ზიმა, სალკოვი, დროზდენკო, მიზერნი (პილიპჩუკი), სტანკიავიჩუსი, ბარდეშინი, ანანჩენკო, ევსეენკო, ფადეევი.

მსაჯი ვ. ბაბუშკინი (მოსკოვი).

დუბლიორები — 0:0.

მატჩის დღისთვის თბილისის „დინამოს“ ერთობ არასახარბიელო მდგომარეობა ჰქონდა ჩემპიონატის ცხრილში: იგი „სადღაც“ შუაგულში იმყოფებოდა. მაგრამ გარკვეული პერსპექტივები მას მაინც გააჩნდა: წინ არის გადამწყვეტი მატჩები და მასთან ერთად მარაგიც, რომლის შესაფერისი რეალიზაცია ჩვენს გუნდს საშუალებას მისცემს მჭიდროდ მიუახლოვდეს მოწინავე ჯგუფს.

სწორედ ერთ-ერთ ასეთ „სარეალიზაციო“ მატჩს წარმოადგენდა შეხვედრა დონეცკის „შახტიორთან“. ეს გუნდი ჩვენზე წინ იმყოფება სატურნირო ცხრილში და, გარდა ამისა, მან პირველ წრეში მოუგო თბილისის „დინამოს“ (1:0). ამიტომ დინამოელებს სრული საფუძველი ჰქონდათ ეფიქრათ რევანშზე.

თამაშის დასაწყისმა ნათლად ცხადყო, რომ თბილისელები სერიოზულად იყვნენ განწყობილი სარევანშოდ. პირველივე 10 წუთის მანძილზე „შახტიორის“ დაცვამ და მეკარე კოროტკიხმა ნამდვილი შტურმი გადაიტანეს თავიანთ საჯარიმო მოედანზე. ამასთან, სტუმრების კართან მოწოდებულ იქნა კუთხურების მთელი სერია. ფორვარდებს რომ თავი დავანებოთ, შეტევაში აქტიურად მონაწილეობდნენ ნახევარმცველები ხართიშვილი და ილიადი, ხოლო ბ. სიჭინავა სისტემატურად გადიოდა გარღვევაზე მარჯვენა ფრთიდან, საიდანაც მაღალ ბურთებს აწვდიდა კარის წინ. სოროკინი აშკარად ვერ უმკლავდებოდა მესხს. აქეთა ფლანგიდანაც საკმაოდ იყო გადაცემები ცენტრში, მაგრამ „დინამოს“ იერიშს აკლდა მხოლოდ ერთი: ზუსტი დაბოლოება. კარგად გათამაშებული კომბინაციები და გარღვევები ფუჭად იკარგებოდა უმისამართო დარტყმების გამო. „შახტიორის“ სახიფათო, მაგრამ მაინც ეპიზოდური კონტრშეტევები ვერ ცვლიდა საერთო სურათს.

გამარჯვება მოვიდა მხოლოდ მეორე ტაიმში. მესხის მორიგი გარღვევა 56-ე წუთზე დამთავრდა შორეულ ძელთან ჩაწოდებული ბურთით. დათუნაშვილი ძალზე ძნელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ ჩვეულმა ინტუიციამ მას არც ამჯერად უღალატა და გოლი გატანილ იქნა — 1:0.

ეს გამარჯვება თბილისის „დინამომ“ მძიმე ბრძოლაში მოიპოვა, თუმცა მას რეალური შესაძლებლობა ჰქონდა განემტკიცებინა იგი. მატჩის დასასრულს დათუნაშვილი კარგ პოზიციაში გავიდა მესხის მიერ გადაწოდებული ბურთით და სალკოვმა ზედ კარის წინ მოცელა დინამოელთა მთავარი ბომბარდირი. მსაჯმა უყოყმანოდ დანიშნა პენალტი.

გასაგებია ის მეგობრული ჟესტი, რომლითაც გუნდის წევრებმა მიმართეს დათუნაშვილს. მართალია, იგი არაა პენალტისტი, მაგრამ მეგობრებმა, ბუნებრივია, კოლეგიალური წინადადებით მიმართეს ჩემპიონატის ერთ-ერთ საუკეთესო სნაიპერს შეესრულებინა 11-მეტრიანი: „გაიტანე ეს გოლი და პირველი სნაიპერი ხარ! მაგრამ დათუნაშვილმა იჩქარა, ვერ გამოზომა დარტყმა და ბურთი კარს ააცილა. ახლა იგი კიეველ ა. ბიშევეცთან ერთად იყოფს ყველაზე შედეგიანი ფორვარდის წოდებას.

ბ. ქორქია.

• • •

**ჩვენს სურათზე** აღბეჭდილია თბილისის „დინამოს“ მარჯვენა გარემარბის ი. დათუნაშვილის მიერ გატანილი გოლი „შახტიორის“ კარში. მ. მესხის გარღვევა მარცხენა ფლანგზე დამთავრდა კარის შორეულ ძელთან ჩაწოდებული ბურთით. სტუმართა მეკარე კარიდან წინ იყო გამოსული, ხოლო მისი ადგილი დაიკავეს მცველებმა. ი. დათუნაშვილმა უკანასკნელ მომენტში ზედ ძელთან მიუსწრო ბურთს, გაიტანა იგი კარში, ხოლო თვითონ მინდვრის გარეთ აღმოჩნდა. ამ გოლმა მეტად საჭირო გამარჯვება მოუტანა ჩვენს გუნდს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



## მატჩები, გოლები, ქულები

8 და 9 ნოემბერს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის.

გამარჯვებით დაამთავრეს თავიანთი შეხვედრები საპრიზო ადგილების პრეტენდენტებმა — როსტოვის არმიელთა გუნდმა და ბაქოს „ნეფტიანიკმა“. ბაქოელებმა თავიანთ მინდორზე მიიღეს ოდესის არმიელები. დასაწყისში დაწინაურდნენ სტუმრები (ბურთები გაიტანეს პანოვმა და აპუხტინმა). ასე დამთავრდა ტაიმი. შემდეგ სემიგლაზოვმა და ტუაევმა გაქვითეს ანგარიში, ხოლო მარქაროვმა წინ გაიყვანა „ნეფტიანიკი“ — 3:2. ამ დამარცხების შემდეგ ოდესის გუნდს აღარ დარჩა თეორიული შანსიც კი შეინარჩუნოს ადგილი პირველ ლიგაში.

მოსკოვში ადგილობრივი „ლოკომოტივი დამარცხდა როსტოვის არმიელებთან — 1:2. როსტოველთა მთავარმა ბომბარდირმა კოპაევმა გაიტანა 2 გოლი, ხოლო 1 საპასუხო ბურთი — კოზლოვმა.

გუშინ ოდესაში „ჩერნომორეცმა“ მოუგო ერევნის „არარატს“— 2:1.

მას შემდეგ, რაც თბილისის „დინამოს“ თავდამსხმელმა ი. დათუნაშვილმა გაიტანა გოლი დონეცკის „შახტიორის“ კარში, იგი კიეველ ა. ბიშევეცთან ერთად მეთაურობს ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა სიას. თვითეული მათგანის პირად ანგარიშზეა 17 ბურთი. ბ. კაზაკოვმა (ცსკა) და ო. კოპაევმა (ასკ, როსტოვი) გაიტანეს 14-14 გოლი.

# 5 ბურთი... შესვენების შემდეგ

ქუთაისი, 9 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). გუშინ აქ გაიმართა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივმა ტორპედოელებმა მიიღეს სტუმრები ფინეთიდან — „გამლაკარნები“.

ფინელმა ფეხბურთელებმა მასპინძელთათვის წინააღმდეგობის გაწევა შეძლეს მხოლოდ პირველ ტაიმში. მართალია, ანგარიში დასაწყისშივე გახსნა „ტორპედოს“ მცველმა ლოსაბერიძემ, ტაიმის დასასრულამდე სტუმრებმა შეძლეს კარის დაცვა.

შესვენების შემდეგ მატჩი მიმდინარეობდა ტორპედოელთა სრული უპირატესობით. ჯერ ხერხაძემ ზედიზედ ორჯერ აიძულა მოწინააღმდეგე ცენტრიდან დაეწყო თამაში, შემდეგ ხაჟალიამ მეოთხე ბურთი გაგზავნა „გამლაკარნების“ კარში.

მატჩის დასასრულისთვის ხერხაძემ და ვეკუამ კიდევ თითო ბურთი გაიტანეს და ქუთაისის „ტორპედომ“ გამარჯვებულმა დატოვა მინდორი — 6:0.

# ძნელი ამოცანის წინაშე

მოსკოვი, 9 ნოემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის დღევანდელი მატჩი მოსკოვის „სპარტაკსა“ და ვენის „რაპიდს“ შორის ერთგვარად ცილდებოდა წმინდა სათასო მასშტაბებს: ავსტრიელი ფეხბურთელები ხომ ჩვენი უშუალო მეტოქენი არიან ევროპის პირველობაში. ამიტომ, დღევანდელ თამაშს ერთგვარი პროლოგის მნიშვნელობა ჰქონდა. აქვე უნდა ვთქვათ, რომ „რაპიდის“ ფეხბურთელთა უმეტესობა ავსტრიის ეროვნული ნაკრების წევრია.

მატჩის პირველივე წუთებიდან სპარტაკელებმა მძაფრად შეუტიეს სტუმართა კარს და ავსტრიელთა მეკარე პიხლერის ბრწყინვალე თამაში რომ არა, ანგარიში დებიუტშივე გაიხსნებოდა.

სტუმრებმა თანდათან აუღეს ალღო სპარტაკელთა მოქმედებას და მწვავე კონტრიერიშებზე ააგეს თამაში. და აი, 23-ე წუთზე ბიერეგორდმა ანგარიში გახსნა — 1:0.

სპარტაკელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ მარცხს მათს რიგებში არეულობა არ შეუტანია. ძალიან აქტიურად თამაშობენ ნახევარმცველები ამბარცუმიანი და ლოგოფეტი. მასპინძლები მეტოქეთა ნახევარზე დასახლდნენ, მაგრამ გოლი არა და არ ჩანს. პირიქით, ავსტრიელთა ერთ-ერთი კონტრშეტევა კინაღამ გოლით დააგვირგვინა იმავე ბიერეგორდმა. მე-40 წუთზე ჰუსაინოვმა ისარგებლა „რაპიდის“ მეკარის შეცდომით და ანგარიში გაქვითა — 1:1.

შესვენების შემდეგ ორივე გუნდი ცდილობს ანგარიშის შეცვლას. 58-ე წუთზე სპარტაკელი ოსიანინი პირისპირ გავიდა პიხლერთან, მაგრამ ბურთი ზუსტად მეკარეს „დაუმიზნა“. 79-ე წუთზე სპარტაკელებს ბურთის გატანის კიდევ ერთი შესაძლებლობა მიეცათ, მაგრამ იმავე ოსიანინის დარტყმა ძალიან უზუსტო იყო.

თამაშის დრო ამოიწურა და ტაბლოზე ერთიანები არ შეცვლილა. „სპარტაკი“ რთული ამოცანის წინაშე დგას — 8 დეკემბერს ვენაში მას მწვავე საპასუხო ბრძოლა ელის „რაპიდთან“.

## მოზარდთა ტურნირი

როგორც ვიუწყებოდით, თბილისში მიმდინარეობს მოზარდ ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების (მოსკოვი, ლენინგრადი, ესტონეთი, საქართველო) საწვრთნელი ტურნირი.

საქართველოს ფეხბურთელებმა, რომელთაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ს. სიხარულიძე, საკმაოდ იოლად მოუგეს ესტონელებს — 3 : 0 და დაძაბული ბრძოლის შემდეგ დაამარცხეს მოსკოვის ძლიერი გუნდი — 3 : 2. ესტონელებმა მეორე მარცხი განიცადეს ლენინგრადის გუნდთან შეხვედრაშიც — 2 : 4.

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა დასკვნითი მატჩები, რომელთა შედეგები ასეთია: ესტონეთი — მოსკოვი 1:0, ლენინგრადი — საქართველო 2:0.

## „ბ“ კლასი I ჯგუფი

## გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 10 ნოემბრისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (კიევი) | 30 | 20 | 9 | 1 | 60—12 | 49 |
| ასკ (როსტოვი) | 34 | 19 | 6 | 9 | 52—43 | 44 |
| „ნეფტიანიკი“ (ბაქო) | 33 | 16 | 8 | 9 | 51—27 | 40 |
| ცსკა | 32 | 15 | 7 | 10 | 57—43 | 37 |
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 31 | 14 | 8 | 9 | 48—32 | 36 |
| „შახტიორი“ (დონეცკი) | 33 | 15 | 6 | 12 | 31—31 | 36 |
| „დინამო“ (თბილისი) | 32 | 12 | 11 | 9 | 40—29 | 35 |
| „დინამო“ (მოსკოვი) | 33 | 12 | 11 | 10 | 41—32 | 35 |
| „პახტაკორი“ (ტაშკენტი) | 31 | 10 | 15 | 6 | 33—27 | 35 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 31 | 12 | 11 | 8 | 38—34 | 35 |
| „კაირატი“ (ალმა-ათა) | 32 | 12 | 10 | 10 | 28—31 | 34 |
| „დინამო“ (მინსკი) | 35 | 10 | 13 | 12 | 34—38 | 33 |
| „არარატი“ (ერევანი) | 34 | 11 | 10 | 13 | 28—44 | 32 |
| „ჩერნომორეცი“ (ოდესა) | 34 | 9 | 12 | 13 | 27—35 | 30 |
| „ზენიტი“ (ლენინგრადი) | 36 | 10 | 8 | 18 | 35—54 | 28 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 35 | 11 | 4 | 20 | 33—48 | 26 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 34 | 4 | 15 | 15 | 18—40 | 23 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 30 | 8 | 6 | 16 | 36—52 | 22 |
| ასკ (ოდესა) | 32 | 1 | 10 | 21 | 15—53 | 12 |

## ვინ ითამაშებს თასების თასზე?

კიევის „დინამოს“ ფეხბურთელებმა წლეულს გააკეთეს „დუბლი“: მოიგეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონობაც და თასიც.

დებულების თანახმად, გაისად კიევის „დინამო“ ითამაშებს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, ხოლო ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს მოსკოვის „ტორპედო“ როგორც 1966 წლის საკავშირო თასის ფინალისტი.

● ალმა-ათა, 7 ნოემბერი. აქ დამთავრდა ჭაბუკ მოკრივეთა საკავშირო პირველობა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ნ. ნოვიკოვმა, ვ. სოკოლოვმა, ბ. მინიკაევმა (სამივე — რსფსრ), ა. მარკოვცევმა, ა. აბდრახმანოვმა (ორივე — ყაზახეთი), ა. კალინკინმა, ა. ალექსეევმა (ორივე — მოსკოვი), მ. კორშუნოვმა (უკრაინა), ი. ნესტეროვმა, ვ. ბარანიკოვმა (ორივე — რსფსრ). საქართველოს წარმომადგენელმა ზ. გუნიამ პირველ ქვესაშუალო წონაში III ადგილი გაიყო ვ. დევიატკინთან (რსფსრ) ერთად.

● ბოსტონი, 8 ნოემბერი. აქ გაიმართა ცხენოსანთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელშიც წარმატებით გამოვიდა საბჭოთა მხედარი მ. ბურდოვა. მან პირველი პრიზი დაიმსახურა.

● მელბურნი, 8 ნოემბერი. თანამედროვე ხუთჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე დღემ ძალზე განამტკიცა უნგრეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების პოზიციები. ფარიკაობაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი უნგრელმა ა. ბალცომ, რომელმაც 1111 ქულა მოაგროვა. მას ცოტათი ჩამორჩა თანამემამულე ფ. ტიორიოკი (1037). III-IV ადგილები გაიყვეს საბჭოთა ხუთჭიდელებმა პ. ლედნევმა და ვ. მინეევმა (963 ქულა თვითეულს). გუნდურ ჩათვლაში 3082 ქულით ლიდერობენ უნგრელები, რომლებიც 410 ქულით უსწრებენ საბჭოთა კავშირის ნაკრებს. 2 სახეობის შემდეგ პირად ჩათვლაში ლიდერობენ ბალცო (2211 ქულა) და ტიორიოკი (2137). ლედნევი 2033 ქულით III ადგილზეა, ხოლო მინეევი — მეხუთეზე (1933). გუნდურ ჩათვლაში ასეთი მდგომარეობაა. 1. უნგრეთი (6352), 2. სსრ კავშირი (5872), 3. აშშ (5310), 4. გფრ (5304), 5. გდრ (5300).

ფეხბურთი

# სნაიპერთა სათავეშია ს. მაცოლა

კვირას ჩატარდა იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის VII ტური. მილანის „ინტერნაციონალე" ტურინში შეხვდა ადგილობრივ „ტორინოს". ანგარიში გახსნა მილანელთა მცველმა ფაკეტიმ — 1:0. ეს მისი მეორე გოლია სეზონის დასაწყისიდან (შარშან ფაკეტიმ 10 გოლი გაიტანა). მეორე ნახევარში „ტორინო" ბევრს უტევდა, მაგრამ ერთ-ერთი კონტრშეტევის დროს მაცოლამ სუარესის ზუსტი გადაცემიდან ანგარიში გაზარდა — 2:0.

ნეაპოლში შეხვდნენ ადგილობრივი „ნაპოლი" და რომის „ლაციო". ერთადერთი გოლი ნეაპოლელმა ალტაფინიმ გაიტანა და თავისი გუნდი მეორე ადგილზე გაიყვანა.

დანარჩენი შედეგები ასეთია: „ბრეშია" — „მანტოვა" 1:1, „კალიარი" — „ვენეცია" 4:0, „ლეკო" — „ატალანტა" 0:0, „მილანი" — „ფოჯა" 3:1, „სპალი" — „იუვენტუსი" 1:1, „რომა" — „ბოლონია" 0:2.

სნაიპერთა სიას ლიდერობს ს. მაცოლა („ინტერი") — 7 გოლი. ჰამრინს („ფიორენტინა") და რივას („კალიარი") 6-6 გოლი აქვთ გატანილი.

აი, ლიდერთა ხუთეულიც:

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ინტერნაციონალე" | 7 | 18:1 | 14 |
| „ნაპოლი" | 7 | 9:3 | 12 |
| „კალიარი" | 7 | 11:0 | 11 |
| „იუვენტუსი" | 7 | 11:2 | 11 |
| „ბოლონია" | 7 | 12:7 | 9 |

(საქ. ინთ.).



ალმართი...
ფოტო ო. გელაშვილისა.

# კეთილშობილი პელე

სპორტულ პრესაში გამოქვეყნდა ცნობა: გამოჩენილი პორტუგალიელი ფეხბურთელი ვისენტე, რომელიც, უპირველეს ყოვლისა ცნობილია იმით, რომ ყველაზე უკეთ „იჭერს" პელეს, საავტომობილო კატასტროფაში მოხვდა, თვალები გაიფუჭა და, შესაძლოა, ვეღარ ითამაშოს. ეს ცნობა დაიბეჭდა ჩვენს გაზეთშიც.

პელემ სინანულის დეპეშა გაუგზავნა ვისენტეს. ბრაზილიელი თავდამსხმელი თანახმაა მონაწილეობა მიიღოს მატჩში (სადაც უნდა გაიმართოს იგი), რომლის მთელი შემოსავალი მოხმარდება ვისენტეს მკურნალობას და მის ოჯახს.

# უეფა-ს კურსებზე

უეფა სისტემატურად აწყობს მწვრთნელთა სასწავლო კურსებს, სადაც ლექციებით გამოდიან ცნობილი სპეციალისტები.

როგორც ეუფა-ს ალმასკომი იუწყება, IV ასეთი სასწავლო კურსები გაისად მოეწყობა ჰოლანდიაში — 25 ივნისიდან 1 ივლისამდე.

მწვრთნელები მოისმენენ სამ ლექციას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ცნობილი უნგრელი სპეციალისტი კ. შოოში მწვრთნელთა წინაშე წარსდგება საკითხით: „როგორ უნდა შედგეს ეროვნული ნაკრები". ტაქტიკის სხვადასხვა საკითხზე ილაპარაკებენ ჯ. კეზლერი (ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი) და ე. ფრიუვირტი (ავსტრიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი).

# მზადება აქედანვე იწყება

ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ა. რამსეის აზრით, მისმა გუნდმა 1970 წელს მექსიკაში კვლავ I ადგილისთვის უნდა იბრძოლოს. „მექსიკაში ჩვენ ბევრად უფრო მეტი წინააღმდეგობის გადალახვა მოგვიხდება, — განუცხადა რამსეიმ ჟურნალისტებს, — მაგრამ ღირსეულად უნდა დავიცვათ ინგლისური ფეხბურთის პრესტიჟი".

რამსეი უბის წიგნაკში ინიშნავს ისეთ მოთამაშეებს, რომლებიც შეიძლება მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში გამოადგეს. აი, ისინიც: ბონეტი, ოსგუდი, ჰოლინსი, ტამბლინგი (ყველა — „ჩელსი"), სმიტი, ტომპსონი (ორივე — „ლივერპული"), ლაბონე („ევერტონი"), ჰანტერი, რუნეი („ლიდს იუნაიტედი") და სამერბი („მანჩესტერ სიტი").

# მოკლედ

● მადრიდი. ესპანეთის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა დ. ბალმანიამ, გუნდი ძირფესვიანად გადაახალისა. თუ აქამდე იგი ყალიბდებოდა „რეალ-მადრიდის" ბაზაზე, ახლა უპირატესობა მადრიდის „ატლეტიკოს" მიენიჭა, სადაც ბოლო დრომდე მუშაობდა თვით ბალმანია. გამოქვეყნდა ევროპის ჩემპიონატში ესპანელთა შესარჩევი მატჩების თარიღები: 7 დეკემბერს ისინი მადრიდში შეხვდებიან ირლანდიელებს, ხოლო გაისად 29 იანვარს — სტამბოლში — თურქებს.

● ბრიუსელი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ბოლო გათამაშების ყველაზე შედეგიანი თავდამსხმელი იყო უნგრელი ალბერტი („ფერენცვაროში"). ახლა ბელგიის „ანდერლეხტის" თავდამსხმელმა ვან-ჰიმსტმა ამ „ვაკანსიაზე" სერიოზული „განაცხადი" გააკეთა: ფინეთის „ვალკეაკოსკენთან" მატჩში 6 გოლი გაიტანა (ბელგიელებმა შემუსრეს მეტოქე — 10:1).

● ჰამბურგი. ევროპის ჩემპიონატში საბჭოთა ნაკრების მოწინააღმდეგის, ფინეთის გუნდის მოწინავე თავდამსხმელი ი. პელტონენი, რომელიც 2 წლის განმავლობაში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის „ჰამბურგერ შპორტფერაინში" თამაშობდა, სამშობლოში დაბრუნდა. ახლა იგი ევროპის ჩემპიონატის თამაშებისთვის იწყებს მზადებას.

# ყოველი მხრიდან

## შულცის დოქტრინა

დასავლეთგერმანული ბუნდესტაგის პრეზიდენტმა გერსტენმაიერმა გადაწყვიტა თავისი აზრი გამოეთქვა სპორტზე, უფრო ზუსტად, ორივე გერმანული სახელმწიფოს სპორტსმენთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხზე.

პრეზიდენტს თურმე არ მოსწონს, რომ არსებობს ორი, — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი. არ მოსწონს იმიტომ, რომ „მსგავსი სიტუაცია ზიანს აყენებს ერთი უფლებამოსილი სახელმწიფოს — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის არსებობის კონცეფციას". გერსტენმაიერი დასძენს, რომ ეს „ეწინააღმდეგება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სტატუსსაც".

რაც შეეხება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სტატუსს, ბუნდესტაგის პრეზიდენტი ერთმანეთში აშკარად ურევს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსა და მის ძვირფას ნატოს, რომლის სისტემის მიხედვითაც თავის დროზე ბონი აიძულებდა მოკავშირეებს არ ეღიარებინათ გდრ-ის სპორტსმენები. მაგრამ დრო შეიცვალა. ხელმძღვანელობს რა კუბერტენის იდეებითა და კეთილშობილური ოლიმპიური პრინციპებით. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა თანაბარი უფლებები მიანიჭა გფრ-ისა და გდრ-ის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტებს.

ორივე გერმანულ სახელმწიფოს აქვს უფლება ოლიმპიურ თამაშებში თავისი გუნდებით გამოვიდეს. ეს სამართლიანი გადაწყვეტილება და მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა გერმანული სახელმწიფოს ათლეტთა გამუდმებით მზარდი წარმატებები ბონის გაშმაგებას იწვევს. დასავლეთ გერმანიის შპორტბუნდის ვიცე-პრეზიდენტი, დოქტორი ვიულ-ფინგი ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა: „საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ნება დართო აღმოსავლეთ გერმანიის სპორტსმენებს ცალკე გამოვიდნენ მხოლოდ ოლიმპიურ თამაშებში. სხვა შეჯიბრებებში ისინი ფედერაციული რესპუბლიკის გუნდების შემადგენლობაში უნდა შევიდნენ, ვინაიდან ფედერაციული რესპუბლიკა წარმოადგენს მთელს გერმანიას". ჰალშტაინის დოქტრინის სულისკვეთებით გამსჭვალული ამგვარი ლოგიკა აუცილებელია ბონის მოღვაწეებისთვის, რათა დაუბრკოლებლივ მოაწყონ გდრ-ის სპორტსმენთა წინააღმდეგ პროვოკაციები ყოველგვარ საერთაშორისო შეჯიბრებაში. ასე მოხდა, მაგალითად, საერთაშორისო სპორტულ კვირეულში, რომელიც მეხიკო-სიტიში გაიმართა.

## დიდი დაბრუნდა...

სახელგანთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელი, ბრაზილიის ოქროს ნაკრების წევრი ვალდირ პერეირა (დიდი), რომელიც ოთხ წელს გამოდიოდა ლათინური ამერიკის სხვადასხვა ქვეყნის გუნდებში, სამშობლოში დაბრუნდა 38 წლის ფეხბურთელი. ახლა „სან-პაულუს" კლუბის ღირსებას იცავს. მაგრამ პრესაში გამოჩნდა ცნობა, რომ ცნობილი დიდი ბრაზილიაში მხოლოდ ესოდენ უმნიშვნელო როლის შესასრულებლად როდი დაბრუნდა. ინფორმირებულ წრეებში ლაპარაკობენ, რომ დიდი მალე შეცვლის ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ გალანძღულ ფეოლას და სათავეში ჩაუდგება ბრაზილიის ეროვნული ნაკრების წვრთნის საქმეს. ამ დღეებში დიდიმ განაცხადა:

„ბრაზილიის დიდება უნდა აღვადგინოთ. ინგლისის სირცხვილი აღარასდროს უნდა გამეორდეს. VIII ჩემპიონატმა ბევრი რამ გვასწავლა. ჯერ კიდევ გათამაშების დაწყებამდე იყო ნათელი, რომ ბრაზილიის ნაკრების საწვრთნელი ვარჯიშებიდან ყველა როდი გამოდგებოდა ევროპის გუნდებთან მატჩებისთვის მოსამზადებლად. მწვრთნელის ადგილზე მე, მაგალითად, სულ სხვაგვარად მოვიქცეოდი. არ შეიძლება არ დაუფასო გამოცდილება და დიდი ამაგი ფეოლას. მაგრამ ფეხბურთი ახლა ის როდია, რაც ამ 5 წლის წინათ იყო".

კითხვაზე, თანახმაა თუ არა იყოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელი, დიდიმ თქვა: „პასუხს მაშინ გაგცემთ, როცა ამას ოფიციალურად შემომთავაზებენ".

## ფეხბურთი ფეხბურთის წინააღმდეგ

1967 წლის მაისში დაიწყება აშშ-ის ჩემპიონატი ევროპულ ფეხბურთში, როგორც ამას ამერიკაში ეძახიან. ასპარეზობაში მონაწილეობას მიიღებს ნიუ-იორკის, პიტსბურგის, ჰარტფორდის, ატლანტის, ბოსტონის, ფილადელფიის, ვაშინგტონის, ტორონტოს, ჩიკაგოს, სან-ლუის, სან-დიეგოსა და ლოს-ანჯელოსის 12 პროფესიული გუნდი. აშშ-ის საფეხბურთო ასოციაცია, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ დაარსდა, პირობას იძლევა, რომ 1970 წელს შეიქმნება მეორე ლიგაც ამდენივე გუნდით.

სხვადასხვა ქვეყნის სპორტული პრესა ფართო კომენტარს უკეთებს ამ ამბავს. ლონდონის გაზეთი „დეილი ტელეგრაფი", მაგალითად, წინასწარმეტყველურად აცხადებს:

„საფეხბურთო ციებ-ცხელება, ალბათ, ნაყოფიერ ნიადაგს ჰპოვებს ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ ციებ-ცხელებით შეგულიანებული ამერიკელთა ეროვნული კოლექტივი მოკლე ხანში უთუოდ მაღალი კლასის ნაკრები გახდება და მსოფლიოს საუკეთესო გუნდებში ჩადგება". მეორე ინგლისური გაზეთის — „დეილი მეილის" სპორტული მიმომხილველი მენინგი აღნიშნავს, რომ უკვე ამჟამად ამერიკულ გუნდებში (იმ 12 გუნდში, რომლებზეც ზემოთ გვქონდა ლაპარაკი) ბევრია შესყიდული ინგლისელი ფეხბურთელი და რომ „მდიდარი ამერიკა კვლავ განაგრძობს „ვარსკვლავების" მოხვეჭას მთელს მსოფლიოში." „ამის შედეგად, — დაასკვნის მენინგი, — დაახლოებით 5 წელიწადში ამერიკული ფეხბურთი საბოლოოდ შეავიწროებს ევროპულს."

და აი, იბადება კითხვა: ფეხბურთი ფეხბურთის წინააღმდეგ? ამერიკაში დიდი ხანია მოდაშია მათებური ფეხბურთი — უწესო, სისხლის მოყვარული თამაში, რომელსაც ყოველ წელიწადს დიდი მსხვერპლი მოსდევს. ყოველი მატჩი ნამდვილ სასაკლაოდ გადაიქცევა ხოლმე. ამერიკელი საქმოსნები გულმოდგინედ ავითარებენ ამ „ფეხბურთს", რომელიც ხელს უწყობს მაყურებელთა სულმდაბლური ვნებების გამოვლენას, შეჯიბრებათა ორგანიზატორებისა და გუნდების მეპატრონეთათვის კი უზარმაზარი მოგება მოაქვს. ეს უკანასკნელნი არ უფრთხიან ევროპული ფეხბურთის კონკურენციას. ისინი ფლობენ სტადიონებს, აქვთ მძლავრი საფინანსო ბაზა და იოლად შეუძლიათ დაასამარონ ახალი იდეა.

შემთხვევითი როდი იყო, რომ გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა" ინგლისელი კოლეგების აზრის პასუხად განაცხადა: „არა გვგონია, რომ ევროპული ფეხბურთი მართლაც დაინერგოს ამერიკაში. მასში ძალზე ნაკლებია გრძნობათა სიმძაფრე და სისხლი. სულ სხვა საქმეა ამერიკული ფეხბურთი, რომელიც დიდი ხანია მკვიდრად დგას და რომლის დამარცხებაც ძნელია. მაგრამ რაც უნდა მოხდეს, ბატალია — „ფეხბურთი ფეხბურთის წინააღმდეგ" დამთავრდება სპორტული ბიზნესმენების სასარგებლოდ. რომლებიც დამატებით მოგებას ელიან".

# 11 წონითი კატეგორია?

ცნობილია, რომ სამოყვარულო კრივში ამჟამად 10 წონითი კატეგორიაა. ყველაზე მსუბუქია უმჩატესი წონა, რომლის მაქსიმუმს 51 კგ წარმოადგენს. საერთაშორისო სამოყვარულო კრივის ასოციაციამ თავის ბოლო სესიაზე იმსჯელა იმის შესახებ, რომ დაწესდეს კიდევ ერთი, ახალი წონითი კატეგორია 48 კილოგრამამდე (ახლა ეს ზღვარი არსებობს მხოლოდ იუნიორთათვის).

მოსალოდნელია, რომ ახალი წონითი კატეგორია ძალაში შევა ევროპის 1967 წლის ჩემპიონატში (რომი) და 1968 წლის ოლიმპიურ თამაშებში (მეხიკო).

რედაქტორი მ. პაპაბაძე.

მძლეოსნობა. „დინამ ოს" სტადიონი. 10 ნოემბერი. ამხანაგური სამატჩო შეხვედრა საქართველო—ლატვია. დასაწყისი 15 ს.

წყალბურთი. ზამთრის დახურული აუზი (ვაკე). საერთაშორისო ტურნირი. 13 ნოემბერი. საქართველო (ნაკრები) — განათლების სამინისტრო (ნაკრები). დასაწყისი 12 ს. „ლოკომოტივი" (თბილისი) — „დოჟა" (უნგრეთი). 13 ს. 14 ნოემბერი. განათლების სამინისტრო (ნაკრები) — „ლოკომოტივი" (თბილისი). 18 ს. საქართველო (ნაკრები) — „დოჟა" (უნგრეთი). 19 ს.

ИНДЕКС 68113 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

 უე 12860